

ქ.თბილისი

2019 წლის 1 ივლისი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 1 ივლისს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში. სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის განცხადება, ტურნირის დირექტორის გ. ზაბახიძის ოქმი და სრკ მსაჯის შ. თევზაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 23 ივნისს, სრკ-ს ეგიდით გამართულ შვიდაცას ტურნირზე, კიკეთის „იუნკერები“-სა და თბ „აკადემია“-ს შორის მატჩზე მომხდარი ფაქტის შესახებ.

ოქმის თანახმად, კლუბ „აკადემიას“ წარმომადგენელმა გ. ლლონტმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მატჩის მსაჯს საბა აბულაშვილს, რის შემდეგაც ტრიბუნაზე მყოფმა, რაგბის კლუბ „ლელოს“ მორაგბემ ბექა აბულაშვილმა (საბა აბულაშვილის ძმამ), გ. ლლონტს ესროლა წყლის ბოთლი და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა ოქმში აღნიშნული ინციდენტის დროს ბექა აბულაშვილის სტატუსის თაობაზე.

„დიდი 10“ -ის ჩემპიონატის 2018-19 წლების საკლუბო განაცხადის მიხედვით, ბექა აბულაშვილი ირიცხება რაგბის კლუბ თბ“ლელო“-ს შემადგენლობაში. თუმცა მომხდარი ინციდენტის დროს ბ. აბულაშვილი შვიდაცას ტურნირზე იმყოფებოდა როგორც მათურბელი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 1.5 პუნქტის თანახმად, კლუბის წარმომადგენლად ითვლება კლუბში დასაქმებული ნებისმიერი პირი.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.4 პუნქტით და თბ „აკადემიას“-ს წარმომადგენელი გია ლლონტი დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო კლუბი დაჯარიმდა 2000(ორი ათასი) ლარით.
 - ✓ საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 1 აგვისტომდე
 - ✓ საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „აკადემია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.
2. სრკ სადისციპლინო კოდექსი არ ითვალისწინებს ერთი კლუბის წარმომადგენლის მხრიდან, მეორე კლუბის წარმომადგენლის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში რაიმე სანქციას. აღნიშნულის გათვალისწინებით სადისციპლინო კომისია, სადისციპლინო კოდექსის 4.11 პუნქტის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნევს შუამდგომლობით მიმართოს სრკ-ს პრეზიდენტს, რათა ზემოაღნიშნული ინციდენტი განხილულ იქნას სრკ-ს გამგეობის სხდომაზე.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე

/მ.თავზარაშვილი/